

## გენდერული უთანასწორობა კიბერუსაფრთხოებაში: ციფრული ჯანდაცვა საქართველოში

მარიამ ჯანჯღავა

რედაქტორი: ელენე ცაცუა

### აბსტრაქტი

საქართველოში ჯანდაცვის პროგრესი მის ციფრულ ტექნოლოგიებთან დაახლოებას უკავშირდება და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უპრეცედენტო შესაძლებლობას აჩენს. თუმცა, ამ ინოვაციებთან ერთად ყალიბდება საფრთხეები კიბერ სივრცეში, რომელსაც ემატება კიბერდანაშაულის გენდერული ასპექტი და კიბერუსაფრთხოების ინციდენტები. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს არსებული დეტალები გენდერულ დინამიკას, კიბერ საფრთხეებსა და ციფრული ჯანდაცვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის.

დისციპლინებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობი და გენდერულად მგრძობიარე კიბერუსაფრთხოებისთვის პრიორიტეტების მინიჭებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ, ავაშენოთ უფრო სამართლიანი, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ჯანდაცვის სისტემა საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანისთვის.

### შესავალი

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო მიღწევებისა და ციფრული ინოვაციების დანერგვას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის სერვისების გასაუმჯობესებლად. კიბერუსაფრთხოება დღითიდღე თვალსაჩინო და გასათვალისწინებელი საკითხი ხდება, განსაკუთრებით არ შეიძლება ზედაპირულად იქნას აღქმული გენდერული დინამიკის საკითხი. ჯანმრთელობის ელექტრონული ჩანაწერების, ტელემედიცინისა და ურთიერთდაკავშირებული სამედიცინო მოწყობილობების გაზრდილი გამოყენების გათვალისწინებით, ჯანდაცვის ორგანიზაციებს შორის იზრდება კიბერუსაფრთხოების ზემოქმედება. ამიტომ, საჭიროა ძლიერი დამცავი ზომების შემუშავება. თუმცა, კიბერუსაფრთხოების სფეროში მკვეთრად შეიმჩნევა გენდერის ნიშნით თავდაცვის მექანიზმების არარსებობა, რაც ფაქტობრივად ნეგატიურ გავლენას ახდენს ამ სფეროზე, ისევე როგორც ეს ჩანს STEM-ის ბევრ სფეროში. გენდერული ასპექტების, კიბერუსაფრთხოების და ციფრული ჯანდაცვის გადაწყვეტილებების ინტეგრაციის აუცილებლობის გაცნობიერება დახმარებას გაგიწევს არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ნაშრომი მიზნად ისახავს გენდერული პერსპექტივიდან გამოააშკაროს კიბერდანაშაულისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების ზემოქმედება ცალკეულ ადამიანებზე. კვლევა გვიჩვენებს რამდენიმე სტრატეგიულ ინიციატივას, რომელიც ეხება პაციენტის მონაცემების და კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვას, ვინაიდან ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიებისადმი ნდობა ამჟამად ძლიერდება.

კიბერუსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართ გენდერულად სენსიტიური მიდგომები აყალიბებს არსებული გენდერული ხარვეზების ჩასწორების მექანიზმს ამ სფეროში და სწრაფად ინტეგრირებად და გამძლე ჯანდაცვის ეკოსისტემას ქმნის. ბიოსამედიცინო ინჟინრები, ძლიერი დაშიფვრის პროტოკოლებით თუ უსაფრთხო ტელემედიცინის პლატფორმების შემუშავებით, მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის ციფრული სისტემების მთლიანობის შენარჩუნებას. კიბერუსაფრთხოების და ტექნოლოგიური განვითარების მიმართ გენდერულად მგრძობიარე მიდგომებზე საზგასმა

ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროში კიბერსივრცესთან დაკავშირებული გამოწვევების ინტეგრირებას და მდგრადობას.

### **ტექნოლოგიური მიღწევები საქართველოს ჯანდაცვის სფეროში**

ციფრული ჯანდაცვის სექტორი საქართველოში საოცარ ზრდას განიცდის, რაც გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც ცვლის ჯანდაცვის გარემოს ქვეყნის შიგნით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს მომხმარებელთა უპირატესი ინტერესების დაცვა თამაშობს. ქართველი მომხმარებლები სულ უფრო მეტად ემხრობიან ჯანმრთელობაზე ზრუნვის ციფრული გზით მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათი კომფორტულობისა და ხელმისაწვდომობის გამო. დატვირთულმა ცხოვრების წესმა და დაუყოვნებლივი ჯანდაცვის სერვისების მიღების სურვილმა, განაპირობა ონლაინ ექიმების კონსულტაციებისა და ციფრული ფიტნეს პლატფორმების პოპულარობა. უფრო მეტიც, იზრდება მოთხოვნა პერსონალიზებული ციფრული მკურნალობის სახეობებზე, რადგან მოქალაქეები ეძებენ უფრო მორგებულ და ეფექტურ ჯანდაცვის სერვისებს.

მოცემული საბაზრო ტენდენციები ხაზს უსვამს საქართველოში ექიმთან კონსულტაციის ონლაინ პლატფორმების სწრაფი დანერგვის საჭიროებას. პაციენტები მიმართავენ ვირტუალურ კონსულტაციებს რეგულარულ სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სულ უფრო პოპულარული ხდება ციფრული ფიტნესისა და ჯანმრთელობისთვის გამოსაყენებელი აპლიკაციები. ციფრული პლატფორმების საშუალებით ვარჯიშის რეჟიმის, კვებითი სახელმძღვანელოები და ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსების ხელმისაწვდომობა მომხმარებელთა მრავალფეროვანი სპექტრისთვის სასურველი ხდება.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული ლანდშაფტი ასევე ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვისთვის ციფრული გადაწყვეტილებების აუცილებლობას. რეგიონებში, სადაც ჯანდაცვის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ექიმთან ონლაინ კონსულტაციები ხელს უწყობს პაციენტებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის კომუნიკაციის დამყარებას. გარდა ამისა, ურბანული მოსახლეობა, რომელიც ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილია, იყენებს ციფრული ჯანდაცვის ინსტრუმენტებს, რაც მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ბაზარზე მსგავსი სერვისებისადმი მოთხოვნის ზრდას.

საქართველოში მაკრო-დონეზე არსებული ფაქტორები გადამწყვეტ როლს თამაშობს ციფრული ჯანმრთელობის ბაზრის გაფართოებაში. ინტერნეტის შეღწევალობის მზარდი მაჩვენებელი და სმარტფონების გამოყენება ციფრული ჯანდაცვის სერვისების მომხმარებელთა ბაზის გაფართოებას უზრუნველყოფს. მთავრობის ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნოლოგიების გამოყენებას ჯანდაცვის სფეროში და ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოზიდვა, ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბაზრის განვითარებისთვის.

### **კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა ჯანდაცვის სისტემებში**

ჯანდაცვის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე სანდო ინდუსტრიაა მსოფლიოში, სადაც პაციენტის მონაცემების კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. მიუხედავად ტექნოლოგიების მუდმივად განვითარებისა, ჯანდაცვის ორგანიზაციების ციფრულ ბაზებში არსებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის საფრთხე ყოველდღიურად მატულობს. შესაბამისად, უფრო მეტი კვლევა ტარდება ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების მიმართულებით პაციენტის მონაცემების დაცვის, ნდობის შენარჩუნებისა და ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამკვიდრებულმა ელექტრონულმა ჩანაწერებმა და ინტერნეტში ჩართული სამედიცინო მოწყობილობების ფართოდ გავრცელებამ წარმოშვა ბევრი სახის საკამათო საკითხი, რაც მაღალი სიზუსტით და სწრაფად უნდა იქნას გადაჭრილი. ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების კვლევებით ხდება ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების დაცვა (EHR), და უპრეცედენტოა ამ მონაცემების ხელმისაწვდომობა. კიბერუსაფრთხოების ექსპერტების მიერ ხდება მოწინავე დამიჯერის ტექნიკების, წვდომის კონტროლისა და მონაცემთა მთლიანობის პროცედურების შესწავლა, რათა EHR მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემთა მთლიანობა უზრუნველყოფილი იქნას.

ჯანდაცვის სფეროს კიბერუსაფრთხოება, თავის მხრივ, მოითხოვს ზემოხსენებული სტრატეგიების შესწავლის პროცესში არსებული ტელემედიცინისა და პაციენტების დისტანციური მონიტორინგის მსგავს ტექნოლოგიებთან თანხვედრის და კავშირის უზრუნველყოფას. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა დაიგეგმოს მყარი უსაფრთხოების ჩარჩოების ფარგლებში და მკაცრი სიზუსტის პროტოკოლებით, რათა შემცირდეს დისტანციური ჯანდაცვის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკები.

ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების კვლევები ტექნიკური კუთხით გადაწყვეტილებების მიღებით არ შემოიფარგლება; მისი საკვლევი სფერო ადამიანური რესურსის მრავალმხრივობას და ინკლუზიურ საჭიროებებსაც მოიცავს. ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების სფეროში მუშაობის დროს დიდი ყურადღება ექცევა გენდერული საკითხებით ინფორმირებულობის საკითხს კიბერუსაფრთხოების კუთხით ჩატარებული ტრენინგების დროს, რათა გადაილახოს გენდერული განსხვავებები სამუშაო სივრცეში. ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების საჭიროებების უკეთ უზრუნველყოფის, ასევე მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამუშაო სივრცეში შესაძლებლობების სრული სპექტრის შექმნის შემთხვევაში, ჯანდაცვის კიბერუსაფრთხოების საჭიროებები უკეთ იქნება დაკმაყოფილებული.

### **ბიოსამედიცინო ინჟინერია ციფრულ ჯანდაცვაში**

ბიოსამედიცინო ინჟინერია არის ის სფერო, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯანდაცვის კუთხით, რაც უზრუნველყოფილია მონაცემებზე დაფუძნებულ ხედვებთან ინტეგრაციით. ცვლილებებზე გათვლილი პროცესები ხელს უწყობს შექმნას სწრაფად პროგნოზირებადი, პერსონალიზებული და ეფექტური ჯანდაცვის გადაწყვეტილებების სისტემა, რაც კარგად აისახება პაციენტთა ზრუნვასა და სამედიცინო პრაქტიკებზე.

### **მონაცემები და ბიოსამედიცინო ინჟინერია**

ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფერო ისტორიულად იყენებს ინჟინერიის პრინციპებს სამედიცინო ინდუსტრიაში. იგი მოიცავს სამედიცინო მოწყობილობების, დიაგნოსტიკური აპარატურისა და ხელოვნური ორგანოების შექმნასა და განვითარებასა. სამეცნიერო მონაცემების ინტეგრაციით, ამ დისციპლინამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. პაციენტთა მონაცემებისა და დაავადების მოდელების ანალიზის საშუალებით, ბიომედიცინის ინჟინერებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალურ პაციენტთა საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი სამედიცინო ტექნოლოგიები და შედეგად მათ მკურნალობისთვის უფრო ეფექტური შესაძლებლობები შესთავაზონ.

ერთ-ერთი სფერო, სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება, არის დიაგნოსტიკური ინსტრუმენტები. მონაცემთა ანალიზმა შესაძლებელი გახადა დიაგნოსტიკის პროცესის სიზუსტისა და სისწრაფის კუთხით გაუმჯობესების უზრუნველყოფა. მაგალითად, მანქანური სწავლების ალგორითმები გამოიყენება რთული გამოსახულებების მონაცემების ანალიზისთვის, რათა გამოვლინდეს დაავადებები, როგორცაა კიბო, რაც უმჯობესია ადრეულ სტადიაში მოხდეს. ეს არა მხოლოდ აჩქარებს დიაგნოზის პროცესს, არამედ ზრდის პაციენტთა გამოჯანმრთელების შანსს.

მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონალიზებული მკურნალობის გეგმების შემუშავებაში. სამედიცინო ისტორიის, მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატისტიკისა და გენეტიკური მონაცემების კომბინაციით, ბიომედიცინის ინჟინრები ისეთ დიაგნოსტიკურ და თერაპიულ სამედიცინო მოწყობილობებს ქმნიან, რომლებიც მორგებულია პაციენტის კონკრეტულ ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე. ასეთ ინოვაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროთეზირების, კარდიოლოგიისა და ნევროლოგიის მიმართულებებისთვის.

მონაცემებზე დაფუძნებული ზომების მიღების პროცესები ასევე გამოიყენება პრევენციული მზრუნველობის უზრუნველსაყოფად. პროგნოზირებადი ანალიტიკა პოტენციური ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ჯანმრთელობის პრობლემების ადრეულ გამოვლინებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს სერიოზული სამედიცინო შედეგები.

მომავალში, მონაცემების როლი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში კიდევ უფრო გაფართოვდება. ინოვაციები, როგორცაა AI-ით (ხელოვნური ინტელექტით) მართული რობოტული ოპერაციები, ჭკვიანი იმპლანტანტები და მომავალი თაობის სარეკომენდაციო მოწყობილობები, რევოლუციას მოახდენს ჯანდაცვის სერვისების მიწოდების სფეროში, რაც შექმნის მკურნალობისთვის კიდევ უფრო ეფექტურ გარემოს, შეამცირებს ხარჯებს და გააუმჯობესებს პაციენტთა ცხოვრების ხარისხს.

საბოლოოდ, სამედიცინო მონაცემების ინტეგრაციამ ბიომედიცინაში შემოიტანა ახალი ერა ჯანდაცვის სფეროში, რომელიც აღინიშნება ინოვაციებითა და პერსონალიზაციით. ცვლილებებისადმი ღიაობით ჩვენ შევძლებთ კიდევ უფრო მეტი სიახლე დავნერგოთ ჯანდაცვის სისტემაში.

## **გენდერის, ტექნოლოგიის და უსაფრთხოების კვეთა**

დღესდღეობით, ტერმინი „უსაფრთხოება“ გვხვდება მისი ტრადიციული განსაზღვრებით, თუმცა, ხშირად ეს ცნება ფართოვდება და გულისხმობს უფრო ჰოლისტიკურ კონცეფციას, რომელიც უკვე ვრცელდება ადამიანის უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, გენდერის, ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების შინაარსობრივი და ფუნქციური გადაკვეთა საკმაოდ რთულად ვლინდება, რათა აღწეროს ჩვენი საზოგადოების სისუსტეები და შესაძლებლობები.

## **გენდერი და უსაფრთხოება**

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სერვისები არ ვრცელდება თანაბრად, გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით. მომსახურების ხელმისაწვდომობის, მკურნალობის შესაძლებლობების ან ჯანდაცვის შედეგების თვალსაზრისით, რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქალები და ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად აწყდებიან სისტემურ ბარიერებსა და მიკერძოებულ გარემოებებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ადამიანებს შორის უთანასწორობას. შესაბამისად, გაციფრულების ზრდა ახალ გამოწვევებს

წარმოშობს, რადგან პაციენტების სამედიცინო მონაცემები ხშირად ხდება კიბერშეტევების სამიზნე.

კიბერუსაფრთხოებაზე მუშაობამ შესაძლოა რევოლუციური შედეგები აჩვენოს უსაფრთხოების ზომების დანერგვის კუთხით, თუმცა, არ გამოირიცხება ახალი რისკები და გამოწვევები. ციფრულმა პლატფორმებმა შექმნა ადვოკატირების ახალი შესაძლებლობები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სივრცე ასევე, გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის მიზეზსაც წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამწყები ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და ბიომეტრია, კონფიდენციალურობისა და ზედამხედველობის სფეროში წარმოაჩენენ ალგორითმული მიკერძოებების საკითხებს, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებს უთანასწორობას.

გენდერის, ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების სფეროების ერთმანეთთან კვთა ქმნის გარკვეულ სირთულეებს ადამიანების უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის გაძლიერების პროცესში, რომელიც ასევე მოიაზრებს მარგინალიზებული, გენდერის მხრივ შევიწროებული პირების გამოცდილებას და ხედვებს, აღიარებს ტექნოლოგიურ განვითარებას და გამოწვევებს, რომლებიც მომდინარეობს ძალაუფლების მქონე სტრუქტურებიდან. ამგვარად, საზოგადოება შესაძლოა ისწრაფოდეს ისეთი სამყაროს შექმნისკენ, სადაც ყველა ინდივიდი თავს იგრძნობს დაცულად, უსაფრთხოდ და დაფასებულად.

### **სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა**

სამედიცინო მომსახურების თანასწორი ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის პრაქტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ბიომედიცინის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის კვლევამ დიდი წვლილი შეიტანა ჯანდაცვის მიერ განხორციელებულ პროექტში, რომელმაც შექმნა ახალი შესაძლებლობები ყველა ადამიანისთვის, რათა მათ ისარგებლონ ჯანდაცვის მომსახურებებით გენდერული საჭიროებებისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით.

როგორც ინტერდისციპლინარული სფერო, ბიომედიცინის ინჟინერია გახდა წამყვანი ძალა ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიების პროცესში. ინჟინერიასა და სამედიცინო მეცნიერებებში არსებული გარკვეული პრინციპების მიხედვით, ბიომედიცინის ინჟინერები ქმნიან ფართო სპექტრის სამედიცინო მოწყობილობებს, დიაგნოსტიკურ ინსტრუმენტებსა და მკურნალობის მეთოდებს, რომლებიც აუმჯობესებენ ადამიანზე ზრუნვასა და ხელმისაწვდომობას. მათ შორისაა, თან სატარებელი ჯანმრთელობის მონიტორები და მალაღტექნოლოგიური პროთეზები.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ რევოლუცია მოახდინა სამედიცინო მომსახურების სფეროში, რამაც გაზარდა ჯანდაცვის რესურსების ხელმისაწვდომობის არეალი. შედეგად მივიღეთ ის, რომ ტელემედიცინამ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მობილურით უზრუნველყოფამ და ციფრული ჯანმრთელობის პლატფორმებმა სამყარო შეცვალეს და ადამიანებს ახლა შეუძლიათ მიიღონ ჯანდაცვის მომსახურება მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. ეს ინოვაციები განსაკუთრებით იმედისმომცემია მარგინალიზებულ ჯგუფებისთვის, ასევე, სოფლად და მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის, სადაც ციფრული მომსახურება უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, გენდერული სენსიტიურობის ინტეგრირება ბიომედიცინის ინჟინერიასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში, ხაზს უსვამს ინდივიდუალური ჯანდაცვის სერვისების შემუშავების საჭიროებას, რომელიც ასევე, პასუხობს გამოწვევებს ჯანდაცვის მრავალფეროვან საჭიროებებსა და გამოცდილებებზე. როდესაც ადამიანთა სპეციფიკური

**First Student Conference: "Gender Dimension of Cybersecurity"**

**პირველი სტუდენტური კონფერენცია: „კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილება“**

ჯანდაცვის პრობლემები გათვალისწინებულია, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარება ქმნის გენდერულად ინკლუზიური დიზაინის პრინციპებს, რომლებიც იწვევს დიაგნოსტიკის, მკურნალობის და ჩარევის თანასწორ ხელმისაწვდომობას. ჯანდაცვის ინოვაციებში გენდერულად სენსიტიურობის მიდგომების წახალისება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანასწორობისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

**დასკვნა**

კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში გენდერული პერსპექტივის ინტეგრაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ონლაინ საფრთხეების კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული ბუნების გასაშუქებლად. გენდერული საკითხების გათავისებით და გათვალისწინებით, შეგვიძლია შევამციროთ გენდერული უთანასწორობა, დავიცვათ ადამიანის უფლებები და გავაუმჯობესოთ ეროვნული უსაფრთხოება ციფრულ ეპოქაში. ერთიანი ძალისხმევით შეგვიძლია შევქმნათ უფრო ინკლუზიური და მდგრადი კიბერუსაფრთხოების ეკოსისტემა, რომელიც სარგებელს მოუტანს ყველა ადამიანს და საზოგადოებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Riggi, John. "The Importance of Cybersecurity in Protecting Patient Safety." AHA Center for Health Innovation, American Hospital Association, 3 May 2024, <https://www.aha.org/center/cybersecurity-and-risk-advisory-services/importance-cybersecurity-protecting-patient-safety>.
2. APC. "APC policy explainer: What is a gender approach to cybersecurity?", 30 June 2023. <https://www.apc.org/en/pubs/apc-policy-explainer-what-gender-approach-cybersecurity>
3. Tsepelis, Deseri. "How does gender intersect and affect our perception of security?", 31 March 2022. <https://nationalinterest.org/blog/skeptics/closer-look-intersection-gender-and-security-201593>
4. Machl, Sabine. "Telemedicine: Bridging a Healthcare Gap in Georgia.", 24 January 2024. <https://georgia.un.org/en/258633-telemedicine-bridging-healthcare-gap-georgia>
5. Luna R, Rhine E, Myhra M, Sullivan R, Kruse CS (2016) Cyber threats to health information systems: a systematic review. Technol Health Care 24(1):1–9. <https://doi.org/10.3233/THC-151102>
6. Humer FJC (n.d) Your medical record is worth more to hackers than your credit card | Reuters". <https://www.reuters.com/article/us-cybersecurity-hospitals-idUSKCN0HJ21I20140924>